ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 2023-„85“/ბ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი **„13“ „ივნისი“ 2023 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) **წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კახაბერ შალიკაძის სახით** და **მეორე მხრივ, სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო** (შემდგომში „მიმწოდებელი”), მისი დირექტორის **გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით,** ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“** საქართველოს კანონის **მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა** და **საქართველოს მთავრობის** 2022 წლის 26 ოქტომბრის **N503 დადგენილების** თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის გამოყოფილი 2023 წლის ასიგნებების ფარგლებში, სამედიცინო და ზუსტი საზომი აპარატურის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (**CPV 504 00000**) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება „დანართი N2“-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **5,890.00 (ხუთი ათას რვაასოთხმოცდაათი) ლარს.**

3.2. მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც მოსაწოდებელი გასაწევი მომსახურების ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი;

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

4.1.1 უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

4.1.2 ხელშეკრულების „დანართი N2"-ის პირველიდან მესამე პოზიციის ჩათვლით, მე-5-დან მე-12 პოზიციის ჩათვლით არსებული ხელსაწყოების დაკალიბრებისთვის მომსახურების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 სამუშაო დღე. ხოლო ხელშეკრულების დანართი N 1-ის მე-4, მე-13დან მე-15 პოზიციის ჩათვლით არსებული ხელსაწყოების დაკალიბრება განხორციელდება აღნიშნული ხელსაწყოების მიმწოდებლის მისამართზე, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 67, შემსყიდველის მიერ მოწოდებიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღის ვადაში. ამასთანავე შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების დანართი N 1-ის მე-4, მე-13დან მე-15 პოზიციის ჩათვლით არსებული ხელსაწყოები მიმწოდებლის მისამართზე წარმოადგინოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.

4.1.3 უზრუნველყოს, გაწეულ მომსახურებაზე ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული გამოწვეულია შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის არასწორი ექსპლუატაციით;

4.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და ხელშეკრულების შესრულებასთან;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმდების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2. კონტროლს განახორციელებს: ***სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წამლის ხარისხის ლაბორატორიის უფროსი: ნინო ვახანია.***

6. მომსახურების გაწევის ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების გაწევა იწარმოებს შემსყიდველის მისამართზე: **თბილისი, ასათიანის N9.**

6.2. განმავლობაში.

6.3. მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას განახორციელოს 3.1 პუნქტით გათვალისიწნებული ხელშეკრულების ღირებულების სრული გადახდა, შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 ოქტომბრის** ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ "სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო"	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
მის: ქ. თბილისი წერეთლის გამზ. N144 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESSGE22 ანგარიშის N: GE24NB 0330 1002 0016 5022 ს/კ: 205035120	მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. N 67 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ანგარიშის N: 707177053 ს/კ: 200162224
LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES Digitally signed by LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES Date: 2023.06.13 16:13:37 +04'00'	
სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ შალიკაძე	გენერალური დირექტორი დავით ტყემალაძე
	LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology Digitally signed by LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology Date: 2023.06.13 16:54:23 +04'00'

დანართი N1

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის“ გამოყოფილი 2023 წლის ასიგნებების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესრულების შესახებ

ქ. თბილისი „_____“ „_____“ 2023 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შემსყიდველი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“ **დირექტორის**

და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი:

_____

(ორგანიზაციის სახელი)

_____

(ხელმძღვანელის თანამდებობა: სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ

2023 წ „---“ „----------“ # ---------- ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, გაწეულია მომსახურება.

(ხელშეკრულების თარიღი და ნომერი)

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

გაწეული მომსახურების ღირებულებამ

შეადგინა:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით მოწოდებულია:

ანაზღაურებულია:

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო:
ხელმძღვანელი

მომსახურება ჩააბარა:
ხელმძღვანელი

#	**დასაკალიბრებელი გაზომვის საშუალებები**	**დაკალიბრების ტექნიკური დეტალები**	**მეთოდი**	**დაკალიბრების ღირებულება**
1	ელექტრონული სასწორი EMB 3000-15 მაქსიმალური აწონის ზღვარი 3000 გ 1 ერთეული	დაკალიბრება ჩატარდება გაზომვის მთელ დიაპაზონზე.	EURAMET/cg-18/v.04 აწონის მეთოდი	110.00
2	ელექტრონული სასწორი EW 220-3NM მაქსიმალური აწონის ზღვარი 220 გ 2 ერთეული	დაკალიბრება ჩატარდება გაზომვის მთელ დიაპაზონზე.	EURAMET/cg-18/v.04 აწონის მეთოდი	2 X 100.00 = 200.00
3	ელექტრონული სასწორი ADB 200-4 მაქსიმალური აწონის ზღვარი 200 გ 2 ერთეული	დაკალიბრება ჩატარდება გაზომვის მთელ დიაპაზონზე.	EURAMET/cg-18/v.04 აწონის მეთოდი	2 X 100.00 = 200.00
4	pH მეტრი, Orion™ Versa Star Pro™, 3 ერთეული	pH (1,68 ÷ 9,18)	პირდაპირი გაზომვის მეთოდი	149.00 X 3 = 447.00
5	ინფრაწითელი სპექტრომეტრი, Nicolete IS20 / Thermo Fisher, 1 ერთეული	წარმოდგენილი სტანდარტული ნიმუში	პირდაპირი გაზომვის მეთოდი	318.00
6	ულტრაიისფერი სპექტროფოტომეტრი Genesys 180 Thermo Fisher, 2 ერთეული,	წარმოდგენილი სტანდარტული ნიმუში	პირდაპირი გაზომვის მეთოდი	318.00 X 2 = 636.00
7	ტენიანობის გან.საზღვრელი აპარატები NX 204 და HS 153 2 ერთეული	დაკალიბრება ჩატარდება გაზომვის მთელ დიაპაზონზე.	EURAMET/cg-18/v.04 აწონის მეთოდი	100.00 X 2 = 200
8	დენსიტომეტრი Density Meter DDM 2911 1 ერთეული	(0÷3)გრ/დმ^3	პირდაპირი გაზომვის მეთოდი	155.00
9	რეფრაქტომეტრი Rudolph Research Analytical J457 2 ერთეული	წარმოდგენილი სტანდარტული ნიმუში	პირდაპირი გაზომვის მეთოდი	72.00 X 2 = 144.00
10	პოლარიმეტრი Rudolph Research Analytical A28736 - AUTOPOL® 1 ერთეული	წარმოდგენილი სტანდარტული ნიმუში	პირდაპირი გაზომვის მეთოდი	100.00

11	ფოტოელექტრო კოლორიმეტრი AQUAfast™ AQ4000 1 ერთეული	(200÷1200)ნმ	პირდაპირი გაზომვის მეთოდი	162.00
12	კარლ ფიშერის ტიტრატორი HI933 / Hanna Instruments 1 ერთეული	წარმოდგენილი სტანდარტული ნიმუში	პირდაპირი გაზომვის მეთოდი	168.00
13	თერმო/ჰიგრომეტრი Trace Hygrometer-thermometer Traceable® 4 ერთეული	დაკალიბრება ჩატარდება მთელ დიაპაზონზე, 3-3 საკონტროლო ნიშნული, ორივე რეჟიმზე	შედარების მეთოდი	100.00 X 4 = 400.00
14	ცვლადი მოცულობის მექანიკური პიპეტი (ერთარხიანი) 15 ერთეული	დაკალიბრება ჩატარდება გაზომვის მთელ დიაპაზონზე.	ISO 8655 გრავიმეტრული მეთოდი	70.00 X 15 = 1050.00
15	ცვლადი მოცულობის მექანიკური პიპეტი (რვაარხიანი) 8 ერთეული	დაკალიბრება ჩატარდება გაზომვის მთელ დიაპაზონზე.	ISO 8655 გრავიმეტრული მეთოდი	200.00 X 8 = 1600
ჯამი				5890.00

* „დანართი N2“ -ის ცხრილში მითითებული დაკალიბრების ტექნიკური დეტალები (გაზომვის დიაპაზონი, რეჟიმები, პარამეტრები და ა.შ), დამოკიდებულია წარმოდგენილი გაზომვის საშუალებების რეალურ მდგომარეობაზე.